დამტკიცებულია
თჰუ აკადემიური საბჭოს
2013 წლის 11 მაისის
№2/2013 გადაწყვეტილებით.

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

(მეორე რედაქცია)

პრეამბულა

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების, პროგრამის დახვეწის, საზოგადოებისათვის უკეთესი მომსახურების შეთავაზების, აგრეთვე ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან მეორე საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტმა შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო სტუდენტმა შეიძლება გადაწყვიტოს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა.

1. თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში (საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის, ცალკეული სასწავლო დისციპლინების კრედიტების ოდენობის შეცვლის ან ამოღების და სხვა შემთხვევები), ცვლილებები არ გავრცელდება საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტებზე, რომლებმაც უკვე მოიპოვეს შესაბამისი კრედიტები საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებულ ნაწილში.

2. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის უფლებით სარგებლობას უზრუნველყოფს თჰუ შესაბამისი (მიმღები) ფაკულტეტი "თჰუ სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების (ECTS კრედიტების) აღიარების წესებით" დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის, თავსებადობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების (ECTS კრედიტების) აღიარების პირობების შესაბამისად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ შუამდგომლობის დაყენებამდე, ფაკულტეტის საბჭო, სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, ვალდებულია შეისწავლოს გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხი და ეს ინფორმაცია შუამდგომლობასთან ერთად წარუდგინოს აკადემიურ საბჭოს.

4.საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად და ვალდებულია:

4.1 სტუდენტს შესთავაზოს ECTS (კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა) კრედიტებთან შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები;

4.2 სტუდენტს შესთავაზოს მობილური და მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება ისეთი სასწავლო კურსები/მოდულები და თავისუფალი კომპონენტები, რომლებიც თავსებადი და რელევანტური იქნება სხვა პროგრამებზე გადასვლის შემთხვევაში და მოხდება მაქსიმალური რაოდენობის კრედიტების აღიარება;

4.3 სტუდენტები უზრუნველყოს ინფორმაციით საქართველოში არსებული ავტორიზებული უსდ-ისა და მათ მიერ რეალიზებული რელევანტური აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

4.4. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი აფორმებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებს ანალოგიური საფეხურისა და შინაარსის ავტორიზებულ/აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამების მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

4.5. გააცნოს სტუდენტს მობილობის წესი, ვადები და პირობები.

5. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად და უფლებამოსილია უზრუნველყოს სტუდენტები უცხოეთში არსებული უსდ-ისა და მათ მიერ რეალიზებული რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციით;

6. თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, ამ პროგრამის სტუდენტებს უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი მობილობის უზრუნველყოფამდე, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა.